საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№43 (6269) სამშაბათი 10 აპრილი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, 9 აპრილს, ტრაგედიიდან 1 წლისთავზე საქართველომ ცხარე ცრემლით დაიტირა უდა-ნაშაულოდ დაღუპული 20 ქართველი, პატივი მიაგო მათ წმინდა სახელებს.

იყო ცრემლი, იყო ყვავილები და იყო ქართული სულის აღზევება...

საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების წლისთავზე გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებ მთელ ქართველ ხალხს და დაღუპულთა ოჯახებს.

ამ ჟამს მინდა კიდევ ერთხელ გამოვთქვა ჩემი პატივისცემა საქართველოსადმი, მისი გამრჯე ხალხისადმი, რომელიც გამოირჩევა სახელოვანი ტრადიციებით, თავისთავადი კულტურით და გულითადობით. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა სიძნელე, გარდაქმნის პრობლემები საქართველოს სს რესპუბლიკაში დაძლეული იქნება და საქართველოს მშრომელები ქვეყნის მოძმე ხალხებთან კავშირით უფრო მკაფიოდ გამოავლენენ თავიანთ ნიჭსა და ენერგიას ნამდვილად დემოკრატიული, ჰუმანური სოციალისტური საზოგადოების შექმნაში.

მ. გორბაჩოვი,

სსრ კავშირის პრეზიდენტი.

სოფელი კაცითაა

◆

გლეხური მეურნეობას გზაზე

მუშა კაცის სანატრელი ამინდები დგას ლეჩხუმში, მიწა გულითადი პატრონის მზრუნველობით გარემოსილა, სოფელი გაზაფხულის საზრუნავით ცხოვრობს. თუმცა უკვე ორი წელია სტიქიამ ლეჩხუმური სოფლების ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმი დაარღვია. მეწყერმა, 1987 წლის ზამთრის სტიქიის შემდეგ, ააფორიაქა ოჯახები, რომელთა რიცხვი სავალალოდ, არც თუ მცირეა. დღეს ისინი საიმედო სამკვიდრებელს ეძებენ, თანადგომას ითხოვენ.

სოფელ ორბელის მკვიდრს გივი ბურჯალიანს სასოფლო საბჭოში შევხვდით. გივის ოჯახი 1987 წელს მეწყრულ ზონაში მოხვედრილა. დანანებიათ შეთვისებული კუთხის მიტოვება და ძველი ნამოსახლის ახლოს ახალი სახლი აუშენებიათ, მაგრამ კვლავ უძლავრია სტიქიას, და ახლა უკვე მეორედ გახდა საჭირო სამოსახლო ფართობის გამოყოფა და გივიმაც დახმარებისათვის სასოფლო საბჭოს მიმართა.

—ქართლში, ბოლნისში შემოგვთავაზეს ჩასახლება—მიყვება გივი—იყო იქ ჩემი ბიჭი წასული, დაათვალიერა იქაურობა, რომ დაბრუნდა, მითხრა, მამა მე აქ მირჩევნია და შეიძლება ჩვენი დასასახლებელი ადგილი ჩვენივე სოფელში შეარჩიონო. მეც ძალიან მიჭირს აქაურობის მიტოვება, ამდენი ხანი აქ მიცხოვრია. 800-იოდე მეტრი მიწა რომ გამოგვიყონ, სახლის აგებას დროულად შევუდგებოდი.

რაც შრომა შესძლო გივიმ, მას შემდეგ ჩვენს კოლმეურნეობაში მუშაობს. სოფელს, მის ლხინსა და საზრუნავს შეთვისებული კაციაო—მითხრეს გივის თანასოფლელებმა.

ორბელი გივის მშობლიური სოფელია ამ სოფელთანაა დაკავშირებული მისი ბავშვობის მწარე მოგონებები.

—იმ საშინელ, 1937 წელს მე ხუთიოდე წლის თუ ვიქნებოდი, მაგრამ კარგად მახსოვს ერთ საღამოს როგორ დააპატიმრეს მამა. პატარა დის ნანას აკვანიც კი გარეთ გამოაგდეს და... დედა ოთხ პატარა, აცრემლებულ ბავშვთან ერთად საკუთარი სახლკარის გარეშე დარჩა.

ეს კი მოხდა იმის გამო, რომ ვიღაცას იასონ ბურჯალიანის ოჯახის ძლიერება და სიკეთე შურდა, ბოროტებამ იბატონა და იმ განუკითხაობის დროს სოფელს და შვილებს მოკვეთეს მშრომელი გლეხკაცი. თავსდატეხილმა ტრაგედიამ იმდენად არ შეაძრწუნა ოჯახი, რამდენადაც იმან, რომ ამ ტრაგედიის შემოქმედი ქართველი კაცი იყო. მაგრამ ოჯახის დედა ელისაბედ ყურაშვილი შეებრძოლა მწუხარებას, დაუღალავად შრომობდა, სოფლის და შრომის სიყვარულით ზრდიდა შვილებს. იზრდებოდნენ ძმები და იცოდნენ, რომ მათ მამა-პაპისეულ ფუძეზე კოლმეურნეობის კანტორა გამართეს, მათი ყოფილი ბეღელიც სხვაგან წამოჭიმეს, თვითონ ერთ პატარა ქვიტკირულში შეყუჟულიყვნენ, მამის უკანასკნელი ამბავი კი 1942 წელს შორეული ჩრდილოეთიდან შეიტყვეს...

სამი ვაჟი და ერთი ქალი იზრდებოდა მათ ოჯახში. სამივე ძმამ ორბელში ცხოვრება ირჩია. გივიმ და მისმა მეუღლემ თინა ახვლედიანმა ორი შვილი აღზარდეს. ქალიშვილი დააოჯახეს. ვაჟი იასონი, რომელიც ბაბუის სეხნიაა, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია, „ერთი სული აქვს როდის დაამთავრებს ინსტიტუტს და სოფელს დაუბრუნდებაო“—მითხრა გივიმ.

გივი ყოველწლიურად 0,3 ჰექტარ ზვარს უვლის. 1500 კვადრატულ მეტრ სასიმინდე ფართობსაც მზრუნველობს. გამოცდილ მესიმინდეს ყანის დახვნის, დათესვის თუ გათოხნის ვადებს ვერავინ ასწავლის, გლეხი კაცია და იცის, ყანის მოვლას და კარგი მოსავლის მოყვანას პირველ რიგში, პრაქტიკული გამოცდილება სჭირდება.

—დღეს ბევრი რამ იცვლება, მეუბნება გივი—სწორი შეფასება ეძლევა. ეს გლეხური მეურნეობაც სასიკეთოდ მიმაჩნია. გლეხის ბუნებაა, რაც თავისად და საკუთრად ეგულება, გულით მიუდგება, ბოლომდე ემსახურება ბარაქიანი მოსავლის მოლოდინში. ეს მხოლოდ გლეხური მეურნეობის პირობებში შესრულდება. მე ყოველთვის გლეხის შრომით ვშრომობდი და სანამ შევძლებ ასეც იქნება. ეს სიტყვები შრომაში გამოცდილი კაცისაა მართლაც, რომ გლეხს თავისი საკეთებელი საქმე უნდა მივუჩინოთ, რეალურად უნდა დავაკისროთ მიწის ბატონ-პატრონის მისია და როცა მთავარი, ძირითადი გაკეთდება, დღეს არსებულ ე. წ. ხელოვნურ პრობლემებსაც ბოლო მოეღება.

სოფლის გაზაფხული ძველებურად ტრადიციული გლეხური საქმისაკენ ეძახის გივის.

ლ. ცხვედიანი.

პასუხი პრეზიდენტს

ვილნიუსი 6 აპრილი. (საქ-დესის კორ). ლიტვის უზენაესმა საბჭომ პასუხი გასცა სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის მიმართვას მისდამი და ლიტვის ხალხისადმი.

თქვენს მიმართვას ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და ლიტვის ხალხისადმი, ნათქვამია პასუხში, შევხვდით უდიდესი ყურადღებითა და იმის სურვილით, რომ გაგვეგო თქვენი თვალსაზრისი.

ჩვენ გვესმის, რომ ლიტვის გადაწყვეტილებამ—დაუბრუნდეს [illegible] დამოუკიდებელ [illegible] ოჯახს—საზრუნავი გაუჩინა საბჭოთა კავშირს და გაგიჩინათ პირადად თქვენ, პატივცემულო პრეზიდენტო.

თქვენ სწორად ბრძანებთ, რომ შეიქმნა რთული სიტუაცია, რომელიც მოითხოვს არგუმენტირებულ დისკუსიებსა და მისაღებ გადაწყვეტილებებს, აღნიშნულია ამ დოკუმენტში. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს ძალისხმევას, რომლის მიზანია მშვიდობიანად გადაწყდეს პრობლემა, მაგრამ მთლად ვერ გაგვიგია ზოგიერთი საკითხი, რომლებიც თქვენს პოზიციასთან არის დაკავშირებული, ლიტვა კვლავინდებურად მზად არის პატიოსანი დიალოგისათვის, მაგრამ ამას არ უნდა სდევდეს თან თქვენი შეიარაღებული ძალების თვითნებური მოქმედება. ამიტომ ჩვენ გთავაზობთ ცოტა ხანში გავმართოთ პირველი ორმხრივი კონსულტაციები, რომელთა მიზანი იქნება დავადგინოთ ორივე მხარის პოზიციები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

თქვენ იცით, რომ ლიტვის პრობლემა ლიტვას არ შეუქმნია, ნათქვამია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პასუხში სსრ კავშირის პრეზიდენტისადმი. ლიტვა მხოლოდ ახორციელებს თავის ოდინდელ უფლებას.

ლიტვის უზენაესი საბჭო მზად არის დიალოგის გზით განიხილოს ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული აქტებისა და დადგენილებების [illegible] როგორც საე[illegible] [illegible]მართლის, ისე რთაშორისო [illegible] სსრ კავშირის კონსტიტუციის თვალსაზრისით.

თქვენ იცით, ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში, რომ ლიტვა გთავაზობთ და განზრახული აქვს განაგრძოს სსრ კავშირთან არსებული ეკონომიკური ურთიერთობა, კულტურული და ჰუმანიტარული კონტაქტები.

ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ, პატივცემულო პრეზიდენტო, პრობლემის პოლიტიკურ გადაწყვეტას ყველა სხვა გზას ამჯობინებთ. ამასთან ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მზად არის დაიწყოს დიალოგი და განიხილოს ჩვენს შორის ახლებური სახელმწიფო ურთიერთობის დამყარების ღონისძიებანი.

ჯანსაღი თესლი ყოველთვის იყო და არის უხვი მოსავლის საიმედო საფუძველი.

შრომის დიდი გამოცდილება აქვს ამ საქმის სპეციალისტს ნარგიზა ნიჟარაძეს რომელიც თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ინსპექციაში მუშაობს.

სურათზე: ნ. ნიჟარაძე თესლის კონდიციურობის შემოწმებისას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

გლეხური მეურნეობების განვითარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული დებულება არეგულირებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გლეხური მეურნეობების საქმიანობის ძირითად ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ პირობებს.

დებულება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სოფლად სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა გარდაქმნას, მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების რაციონალურად გამოყენებასა და დაცვას, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენას, გარემო ბუნების დაცვასა და გაჯანსაღებას. გლეხის ინტერესების გაზრდას პროდუქციის წარმოების გადიდებით და მისი ხარისხის გაუმჯობესებით.

I. გლეხური მეურნეობა, როგორც სოციალისტური მეურნეობრიობის ფორმა

1. გლეხური მეურნეობის შექმნის მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების გადიდება, მისი ხარისხის გაუმჯობესება.

2. გლეხური მეურნეობა, სახელმწიფო და კოოპერაციულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად, წარმოადგენს ერთიანი აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელ რგოლს და ამ მეურნეობაში დასაქმებულ პირთა შრომა ითვლება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობად.

სახელმწიფო იძლევა გლეხური მეურნეობის უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიას.

3. გლეხური მეურნეობა ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას და თავისი შეხედულებით წარმართავს სპეციალიზაციის წარმოების მოცულობისა და სხვა პარამეტრებით განსაზღვრულ საქმიანობას, ორგანიზაციას უწევს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას.

4. გლეხური მეურნეობის საქმიანობამ სტიმული უნდა მისცეს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების გადიდებას, კონკურენცია გაუწიოს სახელმწიფო კოოპერატიულ და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ამ პროდუქტებისა და ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის გაუმჯობესებაში.

5. სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკრძალებათ ჩაერიონ გლეხური მეურნეობის საწარმოო საქმიანობაში.

II. კანონმდებლობა გლეხური მეურნეობის შესახებ

გლეხური მეურნეობის შექმნასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით ურთიერთობანი რეგულირდება საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით და ამ დებულებით.

III. გლეხური მეურნეობის შექმნა

1. გლეხური მეურნეობა ნებაყოფლობის საფუძველზე იქმნება:

—მთის ზონისა და არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე უპერსპექტივო და დაბალრენტაბელური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე, სადაც შეზღუდულია თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, ძირითადად, ხელით შრომას ეყრდნობა;

—გაუქმებული და დაცარიელებული სუფლების, ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდისა და სახელმწიფო მარაგის მიწებზე, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოთა მიწებზე;

—მოქმედ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ გამოუყენებელი ან ნაკლებმოსავლიანი მიწების გადაცემით.

2. ყოფილ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც სურვილი გამოთქვეს შექმნან გლეხური მეურნეობა, განცხადებით მიმართავენ ადგილობრივ სასოფლო საბჭოს აღმასკომებს.

მოქმედ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გლეხური მეურნეობის შესაქმნელად მსურველები მიმართავენ შესაბამის მეურნეობათა შრომითს კოლექტივებს.

მიწის ფართობის მიღების უპირატესობა გლეხური მეურნეობის შესაქმნელად ენიჭებათ მოცემული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთ მათი მუშაობის გამოცდილების, კვალიფიკაციის, სხვა პირობებისა და ფაქტორების გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ სხვა მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები გლეხური მეურნეობის მოსაწყობად ეძლევათ მარაგის მიწებიდან.

გლეხური მეურნეობის მიწის ნაკვეთების ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავენ ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები რეგიონალური თავისებურების, სპეციალიზაციის, უპირატესად გლეხური მეურნეობის წევრთა პირადი შრომის, მოცემული მიწების დამუშავების შესაძლებლობის გათვალისწინებით საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მოქალაქის განცხადებას და სოფლის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წარდგინებას ერთი თვის ვადაში განიხილავს შესაბამისი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

გლეხური მეურნეობა შექმნილად ითვლება რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცების შემდეგ.

4. გლეხური მეურნეობების რეგისტრაციას აწარმოებენ რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

5. გლეხური მეურნეობისათვის მიწის ფართობის გამოყოფაზე სოფლის, დაბის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის დაუსაბუთებელი უარის მიღების შემთხვევაში, გლეხს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, ხოლო ამ უკანასკნელის უარის შემთხვევაში—საქართველოს სსრ მთავრობას.

IV. გლეხური მეურნეობის მიწათსარგებლობის საფუძვლები

1. გლეხური მეურნეობის შექმნის მსურველს მიწის ფართობი გამოეყოფა საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მოქალაქეს, რომელიც გლეხურ მეურნეობას უძღვება შრომის უნარის დაკარგვის ან საპენსიო ასაკის მიღწევის შემთხვევაში შეუძლია მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება გადასცეს ან დროებითი სარგებლობისათვის მისცეს ოჯახის ერთ-ერთ წევრს, რომელიც მასთან ერთად უძღვება გლეხურ მეურნეობას, ხოლო თუ ასეთი არ არის, სხვა პირებს საქართველოს სსრ რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით.

გლეხის ოჯახის წევრებად ითვლებიან გლეხურ მეურნეობაში დასაქმებული მეუღლეები, ბავშვები, მშობლები, სხვა ნათესავები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ ამ მეურნეობაში.

მემკვიდრეთა შორის წამოჭრილ დავას წყვეტს სასამართლო.

3. მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება, თვითნებურად გაცვლა—ბათილია. გლეხური მეურნეობისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთი არ ექვემდებარება გაყოფას. მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება სამემკვიდრეოდ გადაეცემა საქართველოს სსრ კანონმდებლობის დადგენილი წესით.

გლეხური მეურნეობისათვის გამოყოფილ მიწის ფართობზე საცხოვრებელი სახლისა და სხვა კაპიტალურ ნაგებობათა მშენებლობის საკითხს ინდივიდუალური წესით განიხილავს და წყვეტს შესაბამისი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი. მშენებლობა შეიძლება ნებადართულ იქნეს მხოლოდ გაუქმებულ და დაცარიელებულ სოფლებში იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს მოცემულ რაიონში არ გააჩნია საცხოვრებელი სახლი.

4. ყოფილ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის სხვა მცხოვრებთ, რომელთაც დადგენილი წესით შექმნეს გლეხური მეურნეობა, თავის განკარგულებაში რჩებათ და კანონით დადგენილი წესით იყენებენ საკარმიდამო ფართობებს, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ გლეხური მეურნეობის შექმნამდე.

V. გლეხური მეურნეობისათვის გამოყოფილი მიწით სარგებლობის უფლების შეწყვეტა

1. მიწით სარგებლობის უფლება შეწყდება:

ა). თუ გლეხი თავისი სურვილით უარს განაცხადებს გამოყოფილი მიწით სარგებლობის უფლებაზე;

ბ). თუ გლეხმა გამოყოფილი მიწა მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენა არასასოფლო-სამეურნეო წარმოების დანიშნულებით;

გ). თუ გლეხმა ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით დასჯადი მოქმედება (საცხოვრებელი სახლის თვითნებურად აშენება, განსხვისება და სხვა), რაც არღვევს მიწის სახელმწიფო საკუთრებას.

დ). თუ წარმოიშვა გლეხური მეურნეობისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გამოყენების აუცილებლობა, ამ შემთხვევაში, გლეხის თანხმობით, შესაბამისი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი ვალდებულია გამოუყოს მას ტოლფასი მიწის ფართობი სხვა ადგილას. მიწის ფართობის გადაცემა საწარმოს ან ორგანიზაციისათვის მოხდება მას შემდეგ, რაც საწარმო ან ორგანიზაცია აუნაზღაურებს გლეხს მიყენებულ ზარალს—მრავალწლიანი ნარგავების, მიწის ფართობზე აგებული საცხოვრებელი სახლების, შენობა-ნაგებობათა და სხვა საწარმოო დანიშნულების ობიექტების ღირებულებას.

გლეხური მეურნეობისათვის მიწის ჩამორთმევა ხდება საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. საადგილმამულო დავას წყვეტს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო, სასამართლო ან სახელმწიფო არბიტრაჟი საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VI. გლეხური მეურნეობის საკუთრება

1. გლეხურ მეურნეობას თავის საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს:

ა) საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი;

ბ) ნათესები და მრავალწლიანი ნარგავები;

გ) ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები. სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სათადარიგო ნაწილები;

დ) მუშა და პროდუქტიული პირუტყვი. ფრინველი და ფუტკარი;

ე) მის მიერ წარმოებული პროდუქცია;

ვ) სხვა ქონება, რომელიც საჭიროა გლეხური მეურნეობის საქმიანობისათვის.

2. ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათს არასრულწლოვან შვილებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი გლეხური მეურნეობა.

3. გლეხური მეურნეობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობანი შეიძლება მიეყიდოს პიროვნებას, ამ დებულების III თავისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. გლეხური მეურნეობის ლიკვიდაციის შემთხვევაში ანგარიშსწორება შრომის ანაზღაურების მიხედვით, მას შემდეგ რაც დამთავრდება შესრულებავალდებულებანი სახელმწიფო. ბიუჯეტის, ბანკისა და სხვა კრედიტორების წინაშე, გლეხის ქონება გაიყოფა ნატურით ან მიეყიდება სხვას, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად გლეხური მეურნეობის შექმნის უფლება მიეცემა.

ქონების გაყოფასთან დაკავშირებული დავა წყდება სასამართლო წესით.

VII. გლეხური მეურნეობის ქონების სამართლებრივი დაცვა

1. გლეხური მეურნეობის ქონებას იცავს სახელმწიფო კანონი, მისი განკარგვის უფლება ეკუთვნის მხოლოდ მეპატრონე გლეხს.

გლეხური მეურნეობის ქონების იძულებით ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. გლეხი თავისი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს საკუთარი ქონებით, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით გადახდევინებას ექვემდებარება.

სახელმწიფო პასუხს არ აგებს გლეხის ვალდებულებებისათვის.

გლეხისა და მისი ოჯახის წევრთა ქონებრივი ურთიერთობა განისაზღვრება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის, აგრეთვე საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსებით.

VIII. გლეხის ქონების მემკვიდრეობა

გლეხური მეურნეობის ქონება, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით დადგენილი წესით, მემკვიდრეობით გადაეცემა კანონიერ მემკვიდრეებს, ან ანდერძში დასახელებულ პირებს.

გლეხური მეურნეობის ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში, თუ არ არსებობენ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეები, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეთაგან არც ერთმა არ მიიღო მემკვიდრეობა, ან თუ მოანდერძემ ყველა მემკვიდრეს ჩამოართვა მემკვიდრეობის უფლება.

გლეხური მეურნეობის ქონების მემკვიდრე თავისუფლდება დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ მის სახელზე გადაფორმდება მიწით სარგებლობის სახელმწიფო აქტი.

IX. შრომა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა გლეხურ მეურნეობაში

1. გლეხური მეურნეობის საქმიანობას საფუძვლად უდევს გლეხისა და მისი ოჯახის წევრთა პირადი შრომა.

2. გლეხური მეურნეობის შრომითი უფლებები და მოვალეობანი განისაზღვრება ამ დებულებით, და საქართველოს სსრ შრომის კოდექსით.

3. გლეხი და მისი ოჯახის 14 წლის ასაკზე უფროსი წევრები, რომლებიც მეურნეობაში მუშაობენ, ექვემდებარებიან სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას და სოციალურ უზრუნველყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ

(დროებითი დებულება)

ფას მუშებისა და მოსამსახურეთა თანაბრად.

4. გლეხურ მეურნეობებთან იქმნება პროფკავშირთა ტერიტორიული ორგანიზაცია და რეგისტრაციაში ტარდება შესაბამის პროფკავშირთა რაიონულ კომიტეტში, იხდის პროფსაწევროს შენატანს.

5. გლეხური მეურნეობა თავისი შემოსავლიდან იხდის ანარიცხებს სოციალური დაზღვევის ფონდში დარგისათვის დადგენილი ტარიფიდან გამომდინარე ყველა მომუშავე შემოსავლიდან ცალ-ცალკე (ოჯახის წევრებსა და პირებზე, რომლებიც შრომით ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობენ).

6. გლეხურ მეურნეობაში ნამუშევარი დრო ჩაითვლება მუშაობის საერთო სტაჟში იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლითაც დასტურდება სოციალური დაზღვევის შენატანების გადახდა.

7. გლეხური მეურნეობის ოჯახის წევრები მტკიცედ ახორციელებენ შრომის, და უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო, საწარმოო ჰიგიენისა და სანიტარული წესების დაცვის ღონისძიებებს.

X. გლეხის მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენება

1. გლეხი მიწას და სხვა ბუნებრივ რესურსებს იყენებს საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით. გლეხი პასუხისმგებელია მისთვის გადაცემული მიწის, წყლის, ტყისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და მათი დაცვის მოთხოვნათა შესრულებისათვის.

2. გლეხი მოვალეა ეფექტიანად გამოიყენოს მიწა, დღენიადაგ იზრუნოს მისი ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მტკიცედ დაიცვას გარემო გაჭუჭყიანებისაგან და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან.

2. გლეხი საკუთარი სახსრებითა და სახელმწიფო კრედიტებით ახორციელებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს. იმ შემთხვევაში თუ გლეხის მეურნეობრიობისა და მისი სხვა მოქმედების შედეგად დაირღვა ბუნების დაცვის კანონი, პასუხისმგებლობა ეკისრება მას და ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სახელმწიფო გარანტიას იძლევა დაიცვას გლეხური მეურნეობისათვის გადაცემული მიწა, წყალი, ტყეები და სხვა ობიექტები საწარმოთა, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა უკანონო მოქმედებისაგან.

4. სახელმწიფო საწარმო, ორგანიზაცია პასუხს აგებენ გლეხური მეურნეობისათვის მიყენებული ზარალისათვის, რომელმაც გამოიწვია გლეხური მეურნეობის საქმიანობის შეზღუდვა.

ამ შემთხვევაში გლეხურ მეურნეობას აუნაზღაურდება მიყენებული ზარალი (ხარჯები, ქონების დაღუპვა, დაზიანება, სამეურნეო საქმიანობის შეზღუდვის გამო მიუღებელი შემოსავალი და სხვა).

ამ საკითხებთან დაკავშირებული დავა წყდება სასამართლო წესით.

XI. გლეხური მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია

1. გლეხი თვითონ განაგებს მის მეურნეობაში წარმოებულ პროდუქციას, უფლება აქვს ნებართვის გარეშე გადაამუშაოს თავისი მეურნეობის პროდუქცია და გაასაღოს.

2. გლეხს შეუძლია ნებაყოფლობით დადოს პროდუქციის მიყიდვის ხელშეკრულებანი სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებასა და გადამუშავებას, ან მიჰყიდოს იგი საკუთარი შეხედულებით სხვა ნებისმიერ მომხმარებელს და გაყიდოს საკოლმეურნეო ბაზარზე.

სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიყიდული პროდუქცია ანაზღაურდება სახელმწიფო შესასყიდი ფასებით კოლმეურნეობებისა და კოოპ. მეურნეობებისათვის დაწესებული პირობების თანაბრად. გლეხის მიერ რეალიზებულ დანარჩენ პროდუქციაზე ფასები წესდება მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე.

XII. გლეხური მეურნეობის დაკრედიტება და დაფინანსება

1. გლეხი უფლებამოსილია ისარგებლოს სახელმწიფო ბანკის კრედიტებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასაფართოებლად, მისი ხარისხის ასამაღლებლად, მიწის ბუნებრივი და მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოსაყენებლად.

გლეხს უფლება აქვს გახსნას ანგარიში სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში საკუთარი ფულადი სახსრების შესანახად და ანგარიშსწორებისათვის.

2. საანგარიშსწორებო ანგარიშის მფლობელი გლეხი თავისუფლად განაგებს ამ ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს. საანგარიშსწორებო ანგარიშიდან სახსრების გამოყენება ხდება როგორც უნაღდო წესით, ასევე ნაღდი ფულით.

გლეხის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ფულის განაღდება ხდება ბანკის დაწესებულებაში საანგარიშსწორებო საბუთების შემოსვლის კალენდრული რიგითობის მიხედვით.

3. გლეხის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ფული ჩამოიწერება მხოლოდ მისი ნებართვით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

4. სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს შეუძლიათ გლეხს მისცენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები დადგენილი წესის შესაბამისად.

5. გლეხს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა საკრედიტო ხელშეკრულებებისა და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ გლეხი დროულად ვერ დაბრუნებს კრედიტებს, ბანკს შეუძლია გამოიყენოს გირაოდ მიღებული ქონების რეალიზაციის უფლება და რეალიზაციის ამონაგებით დაფაროს დავალიანება.

6. სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან დააკრედიტონ გლეხური მეურნეობანი ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე.

7. სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები შესაბამისი რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს წარუდგენენ წინადადებებს გლეხურ მეურნეობებს შორის საერთო საკრედიტო თანხის განაწილების შესახებ და განახორციელებენ კონტროლს კრედიტების დანიშნულებით გამოსაყენებლად.

XIII. გლეხური მეურნეობის გადასახდელები

გლეხური მეურნეობის გადასახდელების გადახდევინება ხდება „იჯარის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების“ შესაბამისად.

მიწის ქირის გადახდევინება ხდება მიწის გადასახადის ან საიჯარო ქირის ფორმით, რომლებიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. მიწის ნაკვეთის ოდენობა დგინდება მხარეთა შეთანხმებით საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ფარგლებში.

მიწის გადასახადები ირიცხება ადგილობრივ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ბიუჯეტებში, ნაწილობრივ ცენტრალიზდება რესპუბლიკის ბიუჯეტებში და ხმარდება, უწინარეს ყოვლისა, მიწების დაცვასა და ხარისხის გაუმჯობესებას, მიწათმფლობელთა და მიწათმოსარგებლეთა, მათ შორის მოიჯარეთა მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე მიწათმოწყობასა და ტერიტორიის სოციალურ განვითარებას. მიწის ქირის გადახდევინების შეღავათები, გარკვეული ვადით სრული ან ნაწილობრივ განთავისუფლება, გადახდის გადავადება, მიწის გადასახადის განაკვეთის შემცირება ხდება საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIV. გლეხური მეურნეობის ქონების სახელმწიფო დაზღვევა

გლეხური მეურნეობის ქონების დაზღვევა წარმოებს მოქალაქეთა ქონების დაზღვევისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XV. გლეხური მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ქონებას გლეხი შეიძენს სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, საკოლმეურნეო ბაზარზე, მოსახლეობისაგან, აგრეთვე, სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის ქსელში.

გლეხურ მეურნეობას შეუძლია შეიძინოს—ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მისი სათადარიგო ნაწილები, მინერალური სასუქი, კომბინირებული საკვები, ინვენტარი, საშენი მასალა, საწვავ-საზეთი მასალა და მეურნეობის საქმიანობისათვის საჭირო სხვა პროდუქცია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემის მეშვეობით საბითუმო ფასებში იმ შემთხვევაში, თუ იგი უზრუნველყოფს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვას დამამზადებელ ორგანიზაციებთან გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე;

— პირუტყვი და ფრინველი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მხარეთა მიერ განსაზღვრულ ფასებში;

— საჯიშე თესლი და სარგავი მასალა საცალო და საბითუმო ფასებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დადგენილი წესის შესაბამისად.

გლეხური მეურნეობის კუთვნილი ტრაქტორების, სატვირთო ავტომანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს ახორციელებენ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები მოქმედი ფასების (ტარიფების) შესაბამისად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დადგენილი წესით.

XVI. გლეხური მეურნეობის ურთიერთობა საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან

1. გლეხურ მეურნეობას უფლება აქვს გააფორმოს სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და მოქალაქეებთან ნებისმიერი გარიგებანი, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

2. გლეხი უფლებამოსილია შეიძინოს, გაცვალოს, გაყიდოს, დაიქირაოს, აიღოს სესხით სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან მეურნეობის საქმიანობისათვის საჭირო ქონება.

3. გლეხს შეუძლია დამატებით დაიიჯაროს მიწის ნაკვეთები საწარმოო მიზნებისათვის.

4. ანგარიშსწორება არასაცხოვრებელი შენობებისა და ნაგებობათა დასაქირავებლად ხორციელდება მხარეთა მოლაპარაკების თანახმად, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის დამტკიცებული დაქირავების გადასახადზე მეტი, ხოლო მანქანებისა—მხარეთა შორის შეთანხმებული ფასებით. ტრაქტორები, თვითმავალი შასი და მისაბმელები შეძენილ იქნეს დადგენილი წესით.

5. გლეხის სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობა და ოპერაციები სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომწოდებლებთან ხორციელდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის გლეხურ მეურნეობას ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით და ანაზღაურებს მომხმარებლისათვის მიყენებულ ზარალს.

სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს და მოქალაქეებს გლეხთან დადებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით და ანაზღაურებენ გლეხისათვის მიყენებულ ზარალს.

ხელშეკრულების დადება, სახელშეკრულებო პარტნიორის შერჩევის ჩათვლით, წარმოადგენს მხოლოდ გლეხის კომპეტენციას.

დაუშვებელია მართვის სახელმწიფო, კოოპერატიული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩარევა სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებასა და განხორციელებაში.

6. გლეხი უფლებამოსილია თავისი ამოცანების შესასრულებლად სახელშეკრულებო საფუძველზე გამოიყენოს ქონება, რომელსაც მას გადასცემენ სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

7. გლეხური მეურნეობისათვის გადაცემული მიწის სამუშაოები (მელიორაცია, გზების მოწყობა, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების მშენებლობა) ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე სპეციალიზებული ორგანიზაციების მეშვეობით. შესრულებული სამუშაოები ანაზღაურდება დადგენილი ნორმატივების მიხედვით.

გლეხური მეურნეობა თავისუფლდება საექსპლუატაციოდ გადაცემული ობიექტების საამორტიზაციო გადასახდელებისაგან.

XVII. გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებანი

გლეხურ მეურნეობებს შეუძლიათ ცალკეულ სახეობათა საქმიანობის განსახორციელებლად გაერთიანდნენ კოოპერატივებად, ამხანაგობებად, კავშირებად, ამასთან შეინარჩუნონ თავისი სამეურნეო დამოუკიდებლობა და ამ კავშირებიდან თავისუფლად გამოსვლის უფლება.

XVIII. მიწის შესახებ დავის გადაწყვეტა

მიწათსარგებლობის საკითხებზე წარმოშობილი ყველა სახის დავა განიხილება საქართველოს სსრ მიწის კოდექსით დადგენილი წესით.

რედაქციისაგან:

„სოფლის ცხოვრება“ აქვეყნებს რა ამ ქებულებას, დარწმუნებულია, რომ მკითხველებს, გლეხური მეურნეობით დაინტერესებულ მოქალაქეებს უთუოდ დაებადებათ გარკვეული შეკითხვები, ან საჭიროდ ჩათვლიან რომელიმე მუხლის დამატებით ახსნა-განმარტებას.

მოგვწერეთ ამის შესახებ. გაზეთის საშუალებით კვალიფიციური სპეციალისტები პასუხს გასცემენ თქვენს ნებისმიერ შეკითხვას.

9 აპრილი

ღიმილი მოაკლდა რუსთაველს

ჭადრის ყვავილობის ჟამი დადგა თბილისში, ვარდფურცლობის თვე ეწვია დედაქალაქს. ალერსიანი მზე უხვად აფრქვევს მონატრებულ სითბოს და გაზაფხულის ძალას გვაგრძნობინებს.

მივუყვები საყვარელ პროსპექტს, ჩვენი ღმერთკაცების სალოცავ ალაგს. „რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმა, ვიყო მუდამ ასე მხიარული...“ თვალს შევავლებ გამვლელ-გამომვლელთ, არა, არ არიან „ასე მხიარულები“. დღეს ღიმილი ძალზე აკლია რუსთაველს, დღეს ფიქრიანი თვალები აქვთ პატარა გოგო-ბიჭებს, რომელთაც სტკივათ სრულიად საქართველოს მწარე იარა, საიდანაც ჯერ კიდევ მოჟონავს უმანკო სისხლი. ...და უკვე მერამდენედ ყვებიან ტანაშოლტილი ჭადრები, უსასრულო ტკივილით შეძრული გულით სევდიან ამბავს, ჩუმად შრიალებენ ათრთოლებული ფოთლები და ცრემლებად სცვივათ წუხანდელი წვიმის წვეთები. რას ამბობენ? რას მისტირიან—ყური დაუგდეთ: ნუ, ნუ გიკვირსო სილაღის და ხალასი მზერის ნაკლებობა ნანატრ ქუჩაზე!

—ხედავ, რა ცოტაა ღიმილი რუსთაველზე, ნუ გაიკვირვებ, შენც ხომ ნახეო სისხლით მორწყული ხეები, შენც ხომ ისმინე უხმო გოდება გაფითრებული ჩვენი ფოთლების, გვტკივაო ნაცემი სხეული, უფრო კი ის დარტყმები გვტკივა, თვალხატულა გოგო-ბიჭებს რომ ვერ ავაცილეთ, ვეღარ შევძელით... ჩუმდებიან ჭადრები, მხოლოდ უხმოდ იცრემლებიან, უსაზღვროა მათი სევდა.

მივდივარ, ლამაზი მოედანი. აქ ყვავილებით დაიტირა საქართველომ ნიჩბებით აჩეხილი ლამაზი სიცოცხლეები, ქართველებს, ცეკვა-სიმღერისათვის კლავენ, ქართველებს სამშობლოს სიყვარულისთვის შხამით წამლავენ, ქართველებს ქართველობას ვერ პატიობენ. მაგრამ სიკვდილი ყოველთვის დამარცხება როდია. დიდი ვაჟა სწორედ ამაზე ბრძანებდა: „შენი ჭირიმე სიკვდილო, სი[illegible]ცოცხლე ფასობს შენით!..“ [illegible]ოლოდ რჩეულთა ხვედრია სიკვდილი მამულის სამსხვერპლოზე. ასე შესწირეს მსხვერპლად სიცოცხლე ნათიამ და თამრიკომ, ეკამ და ელისომ.. ქეთევან დედოფლის სისხლი უდუღდათ ძარღვებში ვისაც. და მაინც, რა შემზარავია ულვთოდ ჩაქრობა ლამაზი სიცოცხლის.

ეს მერამდენედ დაგვტორეს ბოროტებმა, მერამდენედ მოგვიშვირეს მსახვრალი ხელი, როდემდე ნეტავ?

აქ ყვავილთა ზღვაში, მათი სურათები ალაგია, ფიქრიანი, მოღალადე თვალები, ქაშვეთისათვის მიუბჯენიათ თითქოს, ვერ ელევიან მის „დამარეტიანებელ გამოხედვას“. ისინი მამულის სიყვარულმა დაარეტიანა და სიყვარულში სიკვდილი მოუპოვა სამარადისოდ.

ერთ მუშტად შეკრული საქართველო კი გლოვობს და გულში მჭიდს იცემს. ხალხი სიმართლეს ელოდება, მკაცრსა და პირუთვნელს. ახლა აღარავის სჭერა შელამაზებული უნიჭო მიზანსცენის თუ აკვარელის, ხალხს სისხლის, ბრძოლის და გულში ჩაკრული მჭიდისა სჯერა. თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს ვეღარაფერი შეაჩერებს, ღმერთი დიდია და მოწყალე.

რუსთაველზე კი ისევ შრიალებენ ჭადრები, უყვებიან გამვლელ-გამომვლელთ ცრემლიან ამბავს. მათ ისევ სტკივათ დაჭრილი სხეული, უფრო კი სულის იარები ჰზარავთ. მოედინება უწყვეტ ნაკადად ქართული ჯიში, შედუება ჭადრის ნაამბობით შეძრული და სანთელს დაანთებს გულის მოსახსებლად. ის დროც [illegible] მალე მოვა, როცა [illegible] მთელი სიძლიერით აუღერდება: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“

და მერე ისევ ბევრი იქნება ღიმილი საყვარელ ქუჩაზე.

ფიქრია ხვადაგიანი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი.

»ლეჩხუმი« ზედგამოჭრილი სახელია

„კომუნიზმის სხივის“ მუდმივი მკითხველი [illegible] გიყავი, სიამ[illegible]ავნებით ვკითხ[illegible]ულობ ახლაც. მართალია ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც.

ამას წინათ, როცა „ახალგაზრდა ივერიელის“ მართლაც რომ სასიხარულო ნომერი მივიღე, ძალაუნებურად „კომუნიზმის სხივი“ გამახსენდა. საქართველოში მიმდინარე ცვლილებები გარკვეულწილად აღიბეჭდა გაზეთის გვერდებზე, მაგრამ ყოველივე ამას ცოტა არ იყოს ფერს უკარგავდა გაზეთის მოძველებული და შეუფერებელი სახელწოდება.

„ლეჩხუმი“ მართლაც რომ ზედგამოჭრილი სახელია ჩვენი რაიონული გაზეთისათვის. ამით გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა ჩვენი საერთო, საოცნებო მიზნისაკენ. ჩემი აზრით, ასე ფიქრობს ლეჩხუმის საზოგადოებრიობა, რამეთუ პრესა სარკეა საზოგადოების ცხოვრებისა და მოძრაობისა.

მინდა მივულოცო გაზეთის ნათლობა ლეჩხუმელ ხალხს, მივულოცო რედკოლეგიას და ვუსურვო მათ წარმატებები და კვლავაც წინსვლა თავისუფლების ტაძრისაკენ მიმავალ უძნელეს გზაზე.

ზაზა მუშკუდიანი,

ქ. ლვოვის უმაღლესი სამხედრო პოლიტიკური სასწავლებლის I კურსის კურსანტი.

აპრილი მოვიდა—ულამაზესი თვე—ყვავილებგადაპენტილი, აფეთქებული და აყვავებული აპრილი.

აპრილი მოვიდა—სინანულის, მწარე მოგონებების, წარსულის გახსენების, შიშის მომგვრელი აპრილი.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უმწეო ბავშვები ნიჩბებით დაჩეხეს, დაასახიჩრეს, უდროოდ შეუწყვიტეს მკერდქვეშ გულისფეთქვა.

ალარ მიყვარხარ, აპრილო!

დაჩეხეს და მერე იმიტომ დაჩეხეს, რომ საქართველოს დარდი არ ასვენებდათ. ჩვენი ტანჯული მამულის ბედნიერებას შენატროდნენ და ამიტომ დაჩეხეს. ფიქრობდნენ ამ ბარბაროსული საქციელით ჩაუკლავდნენ ქართველს იმ დიდ რწმენას, რომელიც თითოეულის გულში თავდაპირველად პატარ-პატარა ნაპერწკლად ანათებდა და მერე კი უზარმაზარ ალად გაღვივდა და რომელსაც ნანატრი თავისუფლება ჰქვია, რომ არ გაუმართლდათ ფიქრი!..

მთელი საქართველო მოსერა და მოადუნა შარშან ამ დროს იმ ამბავმა, რომ რუსთაველზე სისხლი დაღვარეს, რომ უმოწყალოდ კეპეს და ჩეხეს უმწიკვლო გოგონებისა და ბიჭების სხეულები, რომ მშვიდობიანი მომიტინგეები დაარბიეს... ვინ იცის, რამდენი რომ—ის თქმა შეიძლება. მაგრამ მხოლოდ წამით მოადუნა საქართველო მხოლოდ ერთი წამით, მაინც ვერ [illegible] არყევს რწმენა ქართველი კაცის. [illegible] ყარ ქვეყანას ასე იოლად, როგორც ფიქრობდნენ, ვერ გასტეხენ და დააჩოქებენ.

მღელვარე დღეებია: ნათიას, თამრიკოს, ეკას, მანანას... სიკვდილის შემდეგ ერთი წელი გავიდა, ერთი მტანჯველი წელი. ის ერთი წელი, რომელმაც ყველა ქართველს მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენა. მაგრამ მხოლოდ გული დაუსერეს მათ, სული კი ისევ მთელია.

ბევრჯერ დაღვრილა ბრძოლის ველზე სისხლი ქართველთა, უფრო მეტნიც და მეტნიც დაცემულან ვიდრე 9 აპრილს, მაგრამ ეს სხვა იყო. ის დრო იყო, როცა ელოდნენ ბრძოლას და ელოდნენ სიკვდილს. ეს კი?!.. ეს კი ის დრო იყო, როცა არავინ ელოდა კაცის მიერ ასე ულმრთოდ, ულვთოდ მოკვლას კაცისას, არ ელოდნენ და მაინც მოხდა.

მამულო ჩვენო! შენ არ გჩვევია არდამადლება და დავიწყება შენთვის თავდადებული და ზვარაკად შეწირული ტანჯული შვილების. მამულო ჩვენო! დაუფასე ამაგი და შენს წინაშე გაწეული მამულიშვილური ვალი შვილთა შენთა!

მიყვარდი აპრილო, ყველაზე მეტად კი ატმების სისხლისფრად აფეთქება მიყვარდა შენში. აღარ მიყვარხარ, რადგან იმ ატმის ყვავილების მსგავსად შეღებე უდანაშაულო ქართველების სხეულები მათივე სისხლით. აღარ მიყვარხარ, არა, აპრილო!

შორენა ხეცურიანი.

სოფ. ლარჩვალი.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ნინო დადაშის ასულ ლეშკაშელს
ნუგზარ ქორას ძე სილაგაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. დღეგრძელი და სვებედნიერი ყოფილიყოს თქვენი სიყვარულით შექმნილი ოჯახი. გლოცავდეთ ღმერთი. დაგბედებოდეთ ძეთა სიმრავლე.

მარინე, თამაზ სილაგაძეები, ნაილი, იგრან მოწონელიძეები.

გილოცავთ

იზა, იური ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ შვილის ბედნიერებას.

ზინა ქაბუკიანი, ნატაშა, ლოლა კოპალიანები, ნაზიკო ჩახულიანი.

ინეზა ალექსანდრეს ასულ მოლოდინაშვილს

გილოცავთ საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის წოდების მონიჭებას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ახალ-ახალ წარმატებებს მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

ცაგერის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

მეუღლე კიმოთე, რძალი ვარდო, შვილიშვილები დათო, ნატო, რძალი ინეზა ადეიშვილი, სიძე სოზარ ნემსწვერიძე, შვილთაშვილები, ძმისშვილები, მაზლები ანდრო, სოგრატი, რძლები ნინა, სონია, მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პაშა ვასილის ასული ქაბუკიანი-მინდაძე.

დაკრძალვა 10 აპრილს, სამშაბათს, სოფ. ლასურიაში.

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო და სოზარ ნემსწვერიძეებს ბებიის

პაშა ქაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

ძმა ჯუმბერი, ბიძაშვილები ნოდარი, ნათელა, დოდო, ციალა, მამიდაშვილი ლავროსი ქაბუკიანი, რძალი დალი სვანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ სეითოს ასული ლაკვეხელიანი.

დაკრძალვა 14 აპრილს, შაბათს სოფ. სპათაგორში.

მეუღლე გოგუცა, შვილები გ[illegible]ლა, ნაზიკო, ციალა, მერი, სიძე გურამ გორდელაძე, და ნინა, შვილიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯოკია როსტომის ძე გიორბელიძე.

დაკრძალვა 14 აპრილს, შაბათს, სოფ. ოყურეში.

ქალაქის სასტუმროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ გივი მდივანს ბიძის

შალვა მდივნის

გარდაცვალების გამო.

ბუჩუ გურული, ჯაბო დავითულიანი, ვახტანგ ომანაძე, ანზორ კვირკაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლამზირა და შურმან ყურაშვილებს მამისა და სიმამრის

შალვა მდივნის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლუიზა და გიზო მდივნებს მამამთილისა და მამის

შალვა მდივნის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-85, პასუხისმგებელი მდივნის—22-8[illegible], განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.